ისმინეთ, მსმენნო

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი,
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი ალმურნი,
ვნახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!..
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი!
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი...
უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი:
ურიცხვნი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავლ ათასათნი,
მუნა მყოფელნი, ყოვლ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი,
აქვსთ ყოვლთვის ხელად სჯულად ძველად საფრხე, საცთურნი...
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.
ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმვვა აქვსთ არეულად,
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად:
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად:
მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა ჰსწყვლენ მტრულად,
კაცთა მკილავნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი, დ
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შურნი!..
ვინც ჰხვდა მათ მახეს, ჭირთა სახეს, არა აქვს შვება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება;
ერთგულთა ჯილდო, გულთ საბინდო მიხვდება ხვება,

ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და ნაცვალ-გება...
მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვივეს თავს ბნელნი ბურნი, დ
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შურნი.

ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!
შემდგომ საცთურნი მას პირველსა უძვირესია,
სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-უმხნესია,
ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი, დ
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი!